

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე საოთახოში. თელიური ხელის მომწერათა თვის განხორციელების 125 მან.

ფასი 5 მან.

«მე არ მინდა ისე გავათავოთ ეს წინასიტყვაობა, რომ არ გამოვთქვათ მთელი ჩემი სიხარული იმის გამო, რომ მეც მოძვედა შემთხვევა ჩემი აზრები გამოვთქვა რუსეთის სასოგადოების წინაშე. რუსეთისკენ აქვს ასევე მიწვეობები თვალის მიქროს განათლებულ ქვეყნიერებას; აღფრთოვანებით და ხალისიანი სასოგობით შექურბებს ის რუსეთის ხალისი გვირუკ ბრძოლას... ზრდაეუფლებოდა საქმის მებრძოლისათვის არ აწივებს იმაზე უდიდესი ბედნიერება და უდიდესი პატივი, რომ შეძლება კეძლავა, კეძლავა უფლები სიტყვით მიმართო რუსის ხალისს, ამ გმირს და წამებულს, ამ მებრძოლს ავანგარდს კაცობრიობისას...»

კ. კაუცკი. - Обществ. формы и пролетариат во Ф. «Виды», 1905 г.

პროლეტარული სოლიდარობა და გურჯაანული მისიონერობა

იმ საისტორიო ბრძოლაში, რომელიც ჩვენს თვალში წარმოგვჩვენებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ არამდინათ მტკიცედ შეკავშირებულია თითოეული მებრძოლთაგანი. ბურჟუაზია, როგორც მთელი ცხოვრების მესვეური, ძლიერია თავისი სიმდიდრით, შეიარაღებით, განათლებით, ტრადიციულად განმტკიცებული ჩაგრვა ბატონობის ჩვეულებით და მთელი სახელმწიფო აპარატის განუწყვეტელი მოქმედებით. პროლეტარიატს არ მოელოება არავითარი სიმდიდრე, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, რომლის გასაღებას ის ხშირად ვერც კი ახერხებს ბაზარზე. როგორც კლასი, ის ყოველმხრივად დაბლა დგას ბურჟუაზიაზე და ვერაფერს მატებს ის ერთდღერთა უპირატესობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატი თავისი რიცხვით სჭარბობს თავის მოწინააღმდეგე კლასს.

მარტო მრავალიცხოვანება, თუ მას არ ახლავს შესაფერო შეგნება, შეკავშირება, ორგანიზაციული უნარი და გამოცდილება, ფაქტურად არაფერს არ აღწევს პროლეტარიატს და ის დიდ ხნობით ზიდავს მცირე რიცხვოვან ბურჟუაზიის მიმე უფელს. პროლეტარიატი შებოძებულია ბურჟუაზიის მატერიალური ძლიერებით, ის დამონებულია ბურჟუაზიული აზროვნებით და თავისი განსაკუთრებული ინტერესების შეგნება მას დიდი ტანჯვით და წვალებით უხდება. შეუგნებელი პროლეტარიატი ისევე ბურჟუაზიის ძალს ამარგებს. და თუ პროლეტარიატი ვერ კიდევ საკმარისად აღიქვამს თავის მატერიალურ და სულიერ უპირატესობას, პროლეტარიატი იწყებს მის მოწინააღმდეგე ტენდენციას — გათიშვას და მეტოქეობას. თვით უმტკიცესი სოლიდარობა ბურჟუაზიის დროებითი და მას სწრაფად ამათილებს მის წიაღშივე დაბუდებული მეტოქეობა.

სწორედ ამით აიხსნება, რომ საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატი ამდენ ხანს ასე გამოიყოფა იტანს მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის იერიშებს. თუ ყველა ქვეყნების ბურჟუაზიის ერთი მხრით

აერთებს საბჭოთა რუსეთის სიძულვილი, მეორე მხრით მათ ცოფს ის მეტოქეობა, რომელიც ასე ძლიერია მათში, და რომლის მიხედვითაც ისინი ერთი-მეორის მტრებიც არიან. იმპერიალისტურმა ომმა, რომელიც წარმოადგენს მარტო მარტო ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შეტაკებას მეტოქეობის ნიადაგზე, ცხადზე ცხადი გახდა, რომ რაც უნდა მცირე-რიცხოვანი გახდეს ბურჟუაზია, მისი გაერთიანება და მასში ქიშპობის მოსაზრება შეუძლებელია.

პირიქით, რაც უფრო მრავალ რიცხოვანი ხდება პროლეტარიატი, მით უფრო მკვიდრი ნიადაგი ეძლევა პროლეტარულ სოლიდარობას, მით უფრო მრისხანე და უძლეველი ხდება ის თავის მტრებისთვის. ამას მოწმობს დღევანდელ საქმეთა ვითარებაც. სადრინდეთის და ინგლისის მუშები უდიდეს სოლიდარობას გრძობენ რუსეთის მუშებისადმი და მათ არიან ებრძოლნ მის წინააღმდეგ წარმოებულ ომს. ბურჟუაზიული ბანაკი კი ირღვევა: პოლონეთის დამარცხების შემდეგ ყველა თავის თავზე ფეხობს და ახალ კომინატივებს აწყობს მეტოქის დასასუსტებლად. პროლეტარიატი ვაძლიერებს თავის სოლიდარობას და წამოაყენებს ბურჟუაზიის მეტოქეობასაც.

მოჯალაგულ რკალში

ზოგიერთ გულშემატკივლებს გონია, რომ თუ სახელმწიფოს მართვა-გამგებობის სადავეები დემოკრატიის და „სოციალისტების“ ხელშია, ძველი პოლიტიკის მაგიერ ახალი დემოკრატიული და სოციალისტური პოლიტიკა იქნება შედეგებული. ამაყარა, ხელშეხსნები შეცდომაა. თუ კი ძველი სახელმწიფოებრივი მანქანა ერთთავად არ მოშლილა, თუ ძველ-ბურჟუაზიული ხელშეუხებელი დარჩა თუ ბურჟუაზიული კერძო საკუთრებაზე ლოკალიზირებული მმართველები, რაც უნდა დემოკრატიის და „სოციალისტების“ იყვეს ეს უკანასკნელი, არსებითად არაფერი ცვლილება დაეცემა სახელმწიფო აპარატის მუშაობას, არც კლასთა ურთიერთობას, კლასობრივ ძალთა განწყობილება იგივე დარჩება. ვინაიდან მთავარი ღერძი კერძო საკუთრება და ვინც კრძალვით და მორიდებით შორი-ახლოს უფლის აზ ბურჟუაზიის ძლიერების უმთავრეს იარაღს, ის ორივე ფეხით ამ ბურჟუაზიის ნიადაგზე დგას.

რა შეიცვალა იმით, რომ სახელმწიფო მანქანის მმართველებად სოციალისტური მოვლენის პარტიულ მშრომლებს? მხოლოდ და მარტო ის, რომ მეფის, მინისტრების და ნამესტნიკების ალაგი ახლა სოციალ დემოკრატებს უკავიათ: მუშა ძველებურად წელში მოკაკულია, სხვისი სიმდიდრის შესაქმნელად მისი ექსპლოატაციის დონე არა თუ დაკლებულია, გაცილებით უფრო მაღალია, ვინც წინეთ, რადგან მას ხელედა სულ მცირე ნაწილი მის ნაწარმოებ საქონლის, ხოლო დამპირავებელს წინეთ სიზმარშიც არ უნახავს ამხელა მოგება, როგორც ახლა, დემოკრატიის ბატონობის დროს ხდება მას.

შეიცვალა რამე გადასახადების აკრეფის საქმეზე? გადავიდა ამ უფლის მიე-ლი სიმძიმე მდიდრებს? რასაკვირველია არა, ვინაიდან კიდევ რომ განხორციელებულიყო ჩვენში ელემენტარული მოთხოვნა დემოკრატიული რეჟიმის — შემოსავლის კვალობაზე გადასახადების გაწერა, — აქედან შემოსული თანხა ვერ დაკმაყოფილებდა მენშევიკების მართვა-გამგებლობის უსახელო მოთხოვნებს.

ნაღობს, ბურჟუაზიული საკუთრების მცველი თავს ვერ დაახვევს ამ მართლად და საბედისწერო რკალს: საჭიროა აუარებული ფული, ფული კი მცირერიცხოვანი მდიდრების ხელშია, მათი საკუთრება ხელშეუხებელია; აქედან ერთად ერთი გამოსავალი ფართო ხალხის მასების დაბეგვრა პირდაპირ და არაპირდაპირი გადასახადებით: ძველისძველი, გატკეპნილი გზა და დემოკრატიაც მასზე დგება, იოლათ მიდის, „ნუ დაადებ ძველსა გზასა“... პირაქეთ გავსწავლის კჟუსა.

მაგრამ ჩვენში ასეთ ძველის ძველს და შეგვეულს კირს თან ერთვის სულ ახალი გაჭირვება, რაც უმძიმეს ღონდათ აწევა მხოლოდ და მარტო მშრომლებს.

ღლე და ღამ მუშაობაში ფულის საბეჭდო დახვა და ისერის მილიონობით ზონებს, რომლების ღირებულება არ უდრის იმ ქაღალდის ფასსაც, რომელზედაც იმეჭებიან. საჭირო ხდება ბონების ასეული მილიონები და მილიარდებიც კი, საჭირო ხდება მუშა-მოსამსახურებისათვის ჯამაგირის მატება, მაგრამ ასეთი მომატება ნიშნავს მხოლოდ ვაჭრების შემოსავლის ზრდას. დემოკრატი ვერ ამოხატება ამ რკალიდან, რამდენიც არ უნდა ეცადოს, რამდენი დეკრეტ არ უნდა წეროს, რა ვინდ გულწრფელად არ მოიწადინოს ცოტათოდენი უთავაზობის გაბეგვა სიმდიდრეში მცურავ ბურჟუაზიის მიმართ ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვის განზრახვით.

ვინც ბურჟუაზიული საკუთრების ნიადაგზე დგას, ის ვერ გაარღვევს ამ რკალს, ის არსებითად ვერას მისცემს მშრომელ ხალხს გარდა დემოკრატიულ, გაბერილ ფრაზებისა, გარდა 100 პროც. მომატებისა, რაც ამდინადე ცხოვრების კიდევ გაძვირების მომასწავებელია. მხოლოდ ბურჟუაზიული საკუთრების ინსტიტუტის უარყოფელი და მასზე თავდაშენი სოციალიზმ-კომუნისმი შესძლებს ამ რკალის გარღვევას.

ლაღობის წინააღმდეგ, სწორედ ამ დროს დაზნაების გენერლები „ბრწყინვალეთ იმარჯვენენ აჯანყებულ რაიონში“ და სომხეთის რესპუბლიკის „ხაჯას ასწორებენ“. ეს ქვეყანას ამცნო ამას წინათ სომხეთის პარლამენტის ხელმძღვანელის პრემიერმა ოჯანჯანიანმა.

აი მაგალითათ რას მოგვითხრობს ეს სახელმწიფო მრღაქმე თავის მოშაობისა და სომხეთის ჯარის ვიირულ მოქმედებაზე უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში.

„ამ საბედისწერო თვეებში სომხეთის რესპუბლიკა უფსკრულს პირად იმყოფებოდა. მაგრამ აქ დიდი როლი ითამაშა ხალხის მიერ გამოჩენილმა სამხედრო სულიერმა განწყობილებამ“. და იმის მაგიერათ, რომ უფსკრულში გადაჩხილიყო ჩვენი ჯარი შეუღდა ჩვენი საზღვრების შესწორებას და ეს ამოცანა მან მოხერხებულათ შეასრულა“.

კიდევ მეტიც.

„უკანასკნელ დროს მან მოიმკო მთელ რიგი ბრწყინვალე გამარჯვებათა აჯანყებულ რაიონებში“.

ასეთია დაზნაქვითა პრე იერის წარმოდგენით სომხეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობის საერთო სურათი, რაცა როგორც ვერ ეწყობა დაზნაქვლების მოთქმა-გოდებას: „საზღვრების მოხერხებულად შესწორება“ სრულიათ არა გაეს უფსკრულის პირათ ყოფნას“, ხოლო „აჯანყებული რაიონები“ ყოველ შემთხვევაში ბალშევიკური იმპერიალისტები არ არიან, რომლებიც ვითომ თავს ესხმიან სომხეთის დამოუკიდებლობას; ოჯანჯანიანის მოხსენებიდან სჩანს, რომ დამოუკიდებლობის მოქმედებას სრულიათ თავდაცვითი ხასიათი არ ქონდა.

„იმის დროს — განაგრძობს იგი — ჩვენ ყველა მათ, ვინც კი მოისურვებდა სომხეთის ქვეყნდროშობას, შეძებდას ვადღევდით მორჩილად გამოცხადებით (რა ლომბიერება! რა სულგაძელობა! რა ქრისტიანული ცოდვათა მიტევება! ა. გ.) და ესარგებლათ მისი მფარველობით, როგორც ეს მოხდა სოფელ ულუხანულში“.

ზანგბაზარის და ვედიბაზარის სხვა სოფლები, რომელთაც არ ისურვეს სომხეთის მოქალაქეობა, დაეცენ ჩვენი ჯარის სწრაფი იერიშის ქვეშ (ტაში).

ჩვენს მთავარ სარდლებსა წარუდგენ აჯანყებულთა დელეგატები და იახოვეს მიეტათ მათთვის შეძლება მთავრობის მოლაპარაკებოდენ... სომხეთის მთავრობის მიერ წარდგენილი პირობები ძლიერ ხელსაყრელი იყო თათრებისათვის... დელეგაცია დაეთანხმა ამ პირობებს, მაგრამ მცხოვრებლებმა მოსული ავტორიტეტის წაქეზებით უარყვეს მიღებული პირობები.

მაშინ ჩვენი ჯარები საჩქარო დაიძრენ შანტაბტისკენ, რომელიც დაიკავს და მტერი საშინლათ დაამარცხეს... ჩვენმა ჯარებმა, რომელთა მოქმედება ალტაცებას იწყევს, შესძლეს მოესპოთ მტერი (ხანგრძლივი, ალტაცებული ტაში).

მაშინ თათრებიდან ახალი დელეგაცია გამოცხადდა ჩვენ არ დავგვიძმებია ძველი პირობები, მხოლოდ ერთი შესწორება შევიტინეთ — შაქრის და ვედიბაზარის გადახვეწილ მცხოვრებთ არ შეუძლიათ დაბრუნდენ თავის ადგილზე განსაკუთრებულ განკარგულების მოხდენამდე (რა უმნიშვნელო „შესწორება“! ა. გ.)

მაგრამ აქ კიდევ გამოიქვდა ის, რაც პირველათ მოხდა: „მცხოვრებთა წარმომადგენელი“ ეთანხმებოდენ და თვით მცხოვრებნი კი „ბალშევიზმის გაგლენას

ინტერნაციონალის ბარბაქო.

კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი პეტერბურგში.

დელეგატების შეხვედრა.

პეტერბურგის პროლეტარიატი დიდი ენტუზიაზმით შეხება ძვირფას სტუმრებს—მე-2 ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესის დელეგატებს.

დღით ადრია აღაყვების მოედანი და ნიკოლაევის ვოვზალონი ახლო მდებარე ქუჩები გაჭედული იყო მუშათა დელეგატების ჯგუფი მოქალაქეებით.

ვოვზის შენობა თითქმის სულ ერთიანად შემოსილია წითელი ფლაგებით და მწვანეულობის ხვეულებით. ვოვზის პირდაპირ აღმართულია ვებერთელა თეთრი, მწვანეულობით შემკული ტრიბუნა. პლატფორმაზე, რომელიც სულ ერთიანად შემოსილია მწვანეულობის ხვეულებით, ფლაგებით და პლაკატებით, რომლებზედაც შეშვებული ღოღოვანია: «საუკუნო ხსენება რევოლუციის ყველა ფრონტებზე დაღუპულთ», დაკავებული აქვთ მუშათა დელეგატების და საპატიო სურათს პეტერბურგის ნაწილებიდან.

ცხრა საათისა პლატფორმას მოადგა განსაკუთრებული დანიშნულების მატარებელი კონგრესის დელეგატებით და მოსკოვის პროლეტარიატის წარმომადგენლები.

მატარებელი, შემკული მწვანეულობის ხვეულებით, წითელი ფლაგებით და პლაკატებით ორთქმავალზე. «ჩვენ ვავიზირებთ, აღვადგენთ ტრანსპორტს», «გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს», «ინტერნაციონალის ხმაზე ნელ-ნელა ადგება პლატფორმა. პეტერბურგის ორგანიზაციების წარმომადგენლები გარს ეხვევიან ვაგონებს და მქუხარეთ ესალმებიან ჩამოსულ დელეგატებს.

დელეგატები ვაგონებიდან ჩამოსვლისთანავე მწყობრ კოლონებათ მიემართებიან მოედნისაკენ, სადაც რაღონული ორგანიზაციები ხვდებიან მათ ინტერნაციონალის სიმღერით და გამაყურებელ, დიდხანს შეუწყვეტელ «ურას» ყვირილით.

მისაღმების შემდეგ დელეგატები ადგილებს იკავებენ მორთულ ტრაპეზის ვაგონებში და მიდიან სმოლნისაკენ. გზაზე ქუჩების ორივე მხრიდან ხალხი მქუხარეთ ესალმება დელეგატებს. ქუჩის ერთ კუთხეში მოხანს ხალხში პატარა ბავშვების ჯგუფი პლაკატებით, რომელიც განსაკუთრებულ ეგვიტს და შთაბეჭდილებას ახდენს.

ს მ ო ლ ნ შ ი.

სმოლნის კედლებს, რომლებსაც ნახული ქონდა ბევრი გმირული, ტრალიკული და მშენებელი რამ, დაწყებული საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის პირველ დღეებთან, წილად ხვდა მოწამე ყოფილიყო მსოფლიო ისტორიის პროლოგის ერთ უდიადეს ფურცლს—მე-3 ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესის დელეგატების მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციის პიონერებთან—რუსეთის პროლეტარებთან პირველი გაერთიანების დღესასწაული.

წყნარია, სულგანბუნლი, დიდი ინტერესით მიდიან ყველა უცხოელი დელეგატები მწყობრ კოლონებათ რუსეთისა და მსოფლიო რევოლუციის ციტადელში—სმოლნიში.

სმოლნის ვესტიბულითან კონგრესს ინტერნაციონალის სიმღერით ხვდებიან მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები და ბავშვების აუარებელი კოლონები.

ყველა დელეგატები ძალიან იჩქარაან სმოლნიში. ჩქარა აღიან კიბეებზე, სადაც ჩამოკიდებულია აუარებელი პლაკატები ყველა ენაზე, და მიემართებიან სახლო-მო დარბაზისკენ.

კოლონების სვლა რამოდენიმე ზერდება, დელეგატები დიდი ყურადღებით ათვალიერებენ სმოლნს.

სასლომო დარბაზში გაწყობილია მაგიდები, მაგრამ ისინი დიდ ხანს რჩებიან დაუკავებელი. დიდი ცნობის მოყვარებით ათვალიერებენ უცხოელები მარმარილოს დაღს, რომელზედაც ამოჭრილია საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია.

დაემორჩილენ, რის შემდეგაც ის იყო, რომ დაშინაკელთა მუშერისტებმა კვლავ დაიწყეს მტრის მოსპობა.

არავინ იცის, რით გათავადება დაშინაკელბის ეს დასრულებული ზღაპარი. ოგანჯინანი კი ფიქრობს, რომ ჩვენნი (ე. ი. დაშინაკელი) სამხედრო მდგომარეობა ძველებურათ მკვიდრია და რწმენას გამოსთქვამს, რომ დაშინაკელები შესძლებენ სძლიონ როგორც შინაური ისე გარეშე მტრებს.

რა გულის ამწყობელი სურათია ქრისტინანული თავდაბლობის და უწყინარობის საუცხოვე ნიმუშია. დაშინაკელ მუშერისტებს იმის მეტი არა ჭონდათ, რომ მათ მიერ «შესწორებული» რაიონების მცხოვრებლებმა «სომხეთის მოქალაქეობა მიიღონ» და ამ მიზნით დაშინაკელ მუშერისტების დახმარებით მათ მუდამ გულმოწყალეთ ეძლევა შეძლება მორჩილება გამოაცხადოს. მაგრამ ამას ერთთავით ხელს უშლიან ბალაშევიკები და მოსული ავიტორები, რომლებიც თავგზას უზნევენ მუშერისტების მიერ დამორჩილებულ მცხოვრებელთ. როგორ არ მოსთქვან და არ ინივლონ ბალაშევიკ-იმპერიალისტებზე მშვიდობის მოყვარე დაშინაკელმა მუშერისტებმა, —ესენი ხომ შეუდარებელი დამცველები არიან პატარა ხალხთა თვით-გამორკვევის უფლებისა.

საწყალი, უმწიკო-დაშინაკელთა კრებობი!

რა თქმა უნდა, დაშინაკელთა ნიანგის ცრემლები ვერავისზე ვერ მოახდენს შთაბეჭდილებას გარდა მათი მონაიყისავე ქართველი მენშევიკებისა. ყოველი მუდგომელი კაცი კი ასე ეტყვის დაშინაკებს:

გუყოფათ, ბატონებო, ჩივილი და წუწუნი; кто тебя Киты Китыч обидит! ты самъ всякаго обидишь!

ა. გინ.

საგჭოთა რუსეთის პრესა საერთაშორისო რევოლუციის ავანგარდი.

პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობა სულ უფრო და უფრო სწრაფათ ისეთ მოძრაობათ ხდება, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტიები და მათი გამერთიანებელი ორგანო—კომუნისტური ინტერნაციონალი. მაგრამ მის ასეთ გარდაქმნის პროცესს ჯერ კიდევ ყველაზე დასრულებული ფორმა არ მიუღია. ამასთან კომუნისტურ პარტიაში სხვა და სხვა მხრიდან შემოდის, სხვა და სხვა პუნქტებიდან შეყვდიებიან მის. მუშების ერთი ნაწილი, რომელსაც უკვე ძველი სოციალ დემოკრატიული შკოლა აქვს გაგლილი, (თითქმის «გაწრთვნილიც» არის) რამდენიმე საფეურრიც, «ცენტრის» მსგავსი, მავალითა, გაუვლია, დღეს ტრადიციის ბადეს გლევს და სწავლობს რა მასიურ ბრძოლაში, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ერთიანი ცენტრალური პარტია აუცილებელი საპირობებაა. ხოლო მეორე—ნაწილი პროლეტარებისა, რომელიც სადაგვლი პარლამენტარული პოლიტიკანობის მეოხებით სოციალისტურ ორგანიზაციებზე ჩამოშორებულია და რომელიც მოქცეულია პოლიტიკის საზოგადოთ და ეკრძით პარტიების პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთა ბანაკში, დღეს იგი მეორე მხრიდან შეტანება რევოლუციური კომუნისზმს: საზოგადოთ პარტიის უარყოფიდან გადადის კომუნისტური პარტიის აღიარებაზე; დაბოლოს, «ახალი», ჯერ უყი, წინათ უპარტო, ხშირათ კიდევ კორგანიზაციულია სრულიათ შეუკავშირებელი მასსა რევოლუციური ბრძოლის მსვლელობათ საერთო პროცესში ჩათრეული, პირდაპირ ან კიდევ ფაფხებით ნელ-ნელა მიდის იქამდე, რომ აუცილებელ საპირობებათ გრძნობს ჩადგეს კომუნისტური რიგში. ეს სრულიათ ადვილი ვასაგებია. ვინაიდან ოპორტიუნისტული პარტიებიც და პრინციპიალურათ ყოველივე პარტიის მოწინააღმდეგენიც არსებითათ (ნებით თუ უნებლიეთ) ერთ და იმავე რევოლუციურ იდეალზე იდინდნ გამოდინ, რაცა შედარებით იოლ-რძილას გულისხმობს. შეგნებული ოპორტიუნისტები ერთიანათ ძველი ურთიერთობის სიმტკიცის და თან და თანობითი «გონივრული» პოლიტიკის თვალსაზრისზე დგანან. მაგრამ—რაინდ ეს საოცრათ გვეჩვენებოდეს—პარტიის «მემარცხენე» კრიტიკოსებიც კი (სინდიკალისტები და

ბ. ბუხარინი.

ურიკის სახალის წინ.

2 საათზე ურიკის სახალისთან დაიწყო თვის მოყრა ბავშვებმა. ბავშვების უმრავლესობა მოდიოდა პლაკატებით და ყვავილებით მორთულ ტრამვაით. სახალის წინ მთელი მოედანი წარმოადგენდა ბავშვთა საყვავილეს. სახალისის შესავალი მხატვრულია მორთული. შუა კარების ორივე მხარეზე ჰკილია ვებერთელა პლაკატები, რომლებზედაც დახატულია საყვარი ხელში გოლიათი—მუშები. ისინი აუწყებენ მთელს ქვეყანას მსოფლიო პროლეტარიატის ბრწყინვალე საათს. სახალისის ფასადი მორთულია პლაკატებით და ყვავილებით. შესავლის ზევით ჰკილია დიდი ტილო წარწერით: «გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!» სახალისში შესასვლელ კარებამდის ორივე მხრით სდგანან წითელი კურსელები.

დაახლოებით 12 საათზე მოვიდნენ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები—ამხ. ზინოვიევი, ლენინი, კალინინი, რადეკი და სხვები, რომელთაც მხურავლთ ოფიცებით შეხვდნენ სახალისის ახლოს ვინივთის ქუჩაზე თავმოყრილი ბავშვები და ხალხი. შემდეგ მუსიკის ორკესტრის თანხლებით მოვიდნენ კონგრესის წევრები, რომელსაც აგრეთვე ოვაციებით შეხვდნენ.

ურიკის სახალისში

კონგრესის გახსნამდის სხლომის დარბაზში თავი მოიყარა ამხანაგებმა, რომელთაც ჰქონდათ ნებართვა დასწრებოდნ ამ ისტორიულ სხლომას.

დარბაზი მხატვრულათაა მორთული. ტრიბუნას ზევით ფართო ტილოზე მოხატულია მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ღერბი—ნამკალი და ჩიქური.

ტრიბუნის ორივე მხრით ტილოებზე გამოხატულია პროლეტარიატის ძლევა-მოსილების ემბლემა. ტრიბუნის წინ ქანდაკებულ ჩამოკიდებულა ტილოები.

ერთ ტილოზე დახატულია ფაბრიკა-ქარხნის მრეწველობის საწარმოო იარაღები, მეორეზე—სამიწათ-მოქმედო იარაღები, მესამეზე—ცოდნის ემბლემა—წიგნი.

მთელ რიგ შემდეგ ტილოებზე წარწერაა: «გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!»

«გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!»

«სალამი ყველა ქვეყნის მუშებს!» და სხვა.

12 საათზე მთელი დარბაზი სავსეა ხალხით. ამ დროს დარბაზში შემოდიან აღმასკომის თავმჯდომარისთან რ. ამხ. ზინოვიევი ერთად მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის წევრებუ. ამასთანავე ტრიბუნაზე აღიან ამხ. ლენინი, კალინინი, რადეკი, ბუხარინი და სხვები.

თავის მეთაურებს ხალხი მქუხარ ტრამვის ცემით ხვდება. ეკატერინის დარბაზში, რომელსაც ეწოდა «კომუნის დარბაზი»—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის, მეორე კონგრესის 1-ლ სხლომის დღის აღსანიშნავათ, სახელმწიფო გამომცემლობის, პეტროგრადის განყოფილების, ცენტრო-მექსიკით ბიუროს მიერ მოწყობილია გამოვენა. აქ გამოვენილია მრავალი ვიგნები, პლაკატები, გეოგრაფიული სურათები, დიაგრამები, რომლებიც ნათლათ ამტკიცებენ ლიტერატურის ვაგრცელებას, და სხვა გრამაფონები, რომლებიც განუწყვეტლივ ვადსაცემენ პროლეტარიატის მეთაურების მთელ სიტყვებს. გვერდით ოთახებში «როსტას» ბიუროს მიერ მოწყობილია მხატვრული სატირების გამოვენა. კედლებზე გამოკიდებულია ასამდის სხვა და სხვა შინაარსის სატირული სურათები, აქვე არის სხვა და სხვა ენებზე გამოცემული «როსტას» კედლის გაზეთების ნიმუშების ვებერთელა სურათი.

პლაკატები გამოხატვენ «როსტას» სამიქმედო სქემას მთელ დღეა-მწის ზურგზე, რკინის გზით და წყლით მიაქვთ ამბები საბჭოთა რუსეთიდან და წითელ პიტერიდან.

სხლომა იხსნება 1 საათ. და 5 წუთ.

მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის დავალებით სხლომას ხსნის ამხ. ზინოვიევი. (შემდეგი იქნება)

